IDFI

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

საქართველოს მეხსიერების პოლიტიკის მიმოხილვა

მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს და *ღია საზოგადოების ინსტიტუტის ბუდაპეშტის ფონდის" (OSI)* მიერ.

შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო და *"ღია საზოგადოების ინსტიტუტის ბუდაპეშტის ფონდის"* შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

სარჩევი

სამართლებრივი განზომილება 3

ლუსტრაცია 3

ტოტალიტარული იდეოლოგიების ხელახლა აღმოცენებისა და ტოტალიტარული სიმბოლიკის გავრცელების პრევენცია 7

მსხვერპლთა რეაბილიტაცია 15

ინსტიტუციური განზომილება 18

სახელმწიფო ინსტიტუტები/ორგანიზაციები 18

არასამთავრობო ორგანიზაციები 20

მემორიალური განზომილება 22

ახალი მემორიალები 22

მუზეუმები 26

დასკვნა 28

სამართლებრივი განზომილება

საბჭოთა კავშირის დაშლისა და კომუნიზმის დამხობის შემდეგ, პოსტ კომუნისტურმა სახელმწიფოებმა დაიწყეს ახალი სამართლებრივი რეგულაციების შემოღება იმისათვის, რომ მომავალში კომუნისტური რეჟიმის მსგავსი ტოტალიტარული რეჟიმებისა და იდეოლოგიების აღმოცენების პრევენცია მოეხდინათ. ასევე, ახალი სამართლებრივი რეგულაციები აუცილებელი იყო ტოტალიტარული წარსულის გასააზრებლად და მსხვერპლთა რეაბილიტაციისთვის, რაც დემოკრატიული ტრანსფორმაციის პროცესის შემადგენელი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ზოგიერთმა პოსტ კომუნისტურმა ქვეყანამ აღნიშნულს წარმატებით გაართვა თავი და შექმნა ქმედითი სამართლებრივი ბაზა, რომლის საფუძველზეც ეფექტურად ხორციელდება ტოტალიტარული სიმბოლიკისა და იდეოლოგიების გავრცელების პრევენცია, ლუსტრაცია და მსხვერპლთა რეაბილიტაცია. ზოგ პოსტ კომუნისტურ ქვეყანაში კი აღნიშნული პროცესი დღემდე არ დაძრულა საფუძვლიანად. საქართველო იმ ქვეყნების ჩამონათვალშია, რომლებიც კომუნისტური რეჟიმის დამხობისთანავე შეეცადნენ იმგვარი რეგულაციების მიღებას, რაც მომავალში საბჭოთა კომუნისტური რეჟიმის მსგავსი ტოტალიტარული სისტემის აღმოცენების პრევენციას მოახდენდა, თუმცა რიგი ფაქტორების გამო, აღნიშნული პროცესი დღემდე ხარვეზიანად მიმდინარეობს და რიგ შემთხვევებში, არაეფექტურია.

ლუსტრაცია

მიუხედავად იმისა, რომ 1991 წლიდან მოყოლებული საქართველოში არა ერთხელ ყოფილა ლუსტრაციის კანონის მიღების მცდელობა, საქართველოს კანონს „თავისუფლების ქარტია“, რომელიც ლუსტრაციასაც მოიცავს, მხოლოდ 20 წლის შემდეგ, 2011 წლის 31 მაისს მოეწერა ხელი. ამის მიზეზი უმთავრესად ის იყო, რომ თბილისის სამოქალაქო ომის დროს ყოფილი უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის „КГБ“-ის შენობა დაიწვა, რასაც 210,000 საარქივო საქმე ემსხვერპლა (საარქივო დოკუმენტების 80%). ამასთანავე, საბჭოთა უსაფრთხოების სამსახურების თანამშრომლებმა ყოფილი უსაფრთხოების კომიტეტის საარქივო მასალების დიდი ნაწილი მოსკოვში გაიტანეს და ისინი დღემდე რუსეთში ინახება. ლუსტრაციის ეფექტურად განსახორციელებლად კი ამგვარი საარქივო მასალების არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.[1]

2011 წელს მიღებული „თავისუფლების ქარტია“ სამ მიზანს ემსახურება: 1. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, ტერორიზმისა და ქვეყნის უშიშროების საფუძვლების ხელყოფის აღკვეთა და ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცება; 2. კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების საფუძვლების გაღვივების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელება და 3. კომუნისტური ტოტალიტარული და

[1] https://idfi.ge/public/upload/IDFI_2019/archieves_idfi/Vatcharadze_Regime%20Archives.pdf

ფაშისტური სიმბოლიკის, საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების, ქუჩების, მოედნების, სოფლებისა და დაბების სახელწოდებების აღმოფხვრა, აგრეთვე კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების მატარებელი და პროპაგანდის სხვა საშუალებების აკრძალვა. აღნიშნული მიზნების მისაღებად კი ამავე კანონით გათვალისწინებულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში (სუს) სპეციალური კომისიის შექმნა. კანონის მიხედვით, კომისიაში თითო წევრის წარდგენის უფლება აქვთ საქართველოს პარლამენტის ფრაქციებს, რაც მნიშვნელოვანი ჩანაწერია იმდენად, რამდენადაც ლუსტრაციის წარმატებული პრაქტიკის მქონე ქვეყნებში, ამ პროცესში სწორედ საკანონმდებლო ორგანომ შეასრულა ცენტრალური როლი.

სუს-ში შექმნილი კომისია აგროვებს მონაცემებს და აწარმოებს იმ პირთა რეესტრს, რომლებიც საიდუმლოდ თანამშრომლობდნენ ყოფილი სსრკ-ის სპეციალურ სამსახურებთან ან რომელთა შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული მონაცემები ყოფილი სსრკ-ის სპეციალურ სამსახურებთან მათ ფარულ კავშირზე მიუთითებს. კომისია ასევე აგროვებს ინფორმაციას ადმინისტრაციული ორგანოების მიერ კომუნისტური ტოტალიტარული ან/და ფაშისტური სიმბოლიკის, აგრეთვე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაზე გამოყენების თაობაზე, ასევე საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების შესახებ, ქუჩების, მოედნების, სოფლებისა და დაბების სახელწოდებების, აგრეთვე მასობრივი თავშეყრის სხვა ადგილების თაობაზე, რომლებიც შეიცავს კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების და პროპაგანდის ელემენტებს თუ ამ იდეოლოგიების ლიდერთა სახელებს. საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, კომისია: 1. იღებს გადაწყვეტილებას რეესტრში იმ პირთა შესახებ მონაცემების შეტანის თაობაზე, რომლებიც საიდუმლოდ თანამშრომლობდნენ ან ფარული კავშირი ჰქონდათ ყოფილი სსრკ-ის სპეციალურ სამსახურებთან; 2. უზრუნველყოფს იმ პირთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის საიდუმლოებას, რომლებიც საიდუმლოდ თანამშრომლობდნენ ან ფარული კავშირი ჰქონდათ ყოფილი სსრკ-ის სპეციალურ სამსახურებთან, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისებისა; 3. კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების მატარებელი სიმბოლიკის, ძეგლების, ბარელიეფების, წარწერების, სახელწოდებების აღმოფხვრის მიზნით მიმართავს უფლებამოსილ პირს; საჯაროდ აცხადებს მხოლოდ იმ პირთა ვინაობას და მათ შესახებ მონაცემებს, რომლებიც საიდუმლოდ თანამშრომლობდნენ ან ფარული კავშირი ჰქონდათ ყოფილი სსრკ-ის სპეციალურ სამსახურებთან, უკავიათ კანონით განსაზღვრული თანამდებობები და ნებაყოფლობით, კანონით დადგენილ ვადაში არ განაცხადებენ უარს ამ თანამდებობაზე.[2]

[2] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1381526?publication=15

თავისუფლების ქარტია

„თავისუფლების ქარტია“ სამ ძირითად პუნქტს მოიცავს:

- ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერება
- ტოტალიტარული კომუნისტური და ფაშისტური იდეოლოგიებისა და სიმბოლოების აღმოფხვრა
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში სპეციალური კომისიის შექმნა

„თავისუფლების ქარტიის“ მიხედვით, მაღალ საჯარო თანამდებობაზე ვერ დაინიშნებიან პირები, რომლებიც 1921 წლის 25 თებერვლიდან 1991 წლის 9 აპრილამდე იყვნენ:

ყოფილი სსრკ-ის სპეციალური სამსახურების საიდუმლო თანამშრომლები, რომლებმაც:

- უარი განაცხადეს დამოუკიდებელი საქართველოს სპეციალურ სამსახურებთან საიდუმლო თანამშრომლობაზე
- გაირიცხნენ აპარატიდან
- დაუდგენელი მიზეზების გამო გაწყვიტეს კავშირი სპეციალურ სამსახურებთან
- ყოფილი სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ოფიცრები, რომლებმაც უარი განაცხადეს ან უარი ეთქვათ დამოუკიდებელი საქართველოს სპეციალურ სამსახურებში მუშაობის გაგრძელებაზე
- საქართველოს ტელე-რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე



„თავისუფლების ქარტიის“ კომისია აგროვებს ინფორმაციას საჯარო სივრცეში კომუნისტური ტოტალიტარული ან/და ფაშისტური სიმბოლიკის გამოყენების თაობაზე და მიმართავს უფლებამოსილ პირს. კომისიის მიმართვის შემთხვევაში, უფლებამოსილი პირი ვალდებულია აღმოფხვრას კომუნისტური ტოტალიტარული ან/და ფაშისტური სიმბოლიკა.

კანონით „თავისუფლების ქარტია“ გათვალისწინებული კომისიის საქმიანობის შესწავლის მიზნით, ჯერ კიდევ 2015 წელს IDFI-მ გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია, რის საფუძველზეც გაირკვა, რომ 2015 წლამდე კომისია შეიკრიბა მხოლოდ ერთხელ და განიხილა მხოლოდ „თავისუფლების ქარტიით“ გათვალისწინებული რეესტრის შექმნის მექანიზმები. აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 28 თებერვლის #167 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი ავალდებულებდა კომისიას არანაკლებ სამ თვეში ერთხელ შეკრებას, თუმცა შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 ივლისის #561 ბრძანებით, 2014 წლის 28 თებერვლის #167 ბრძანება, რომელითაც შეიქმნა კომისია და დამტკიცდა კომისიის დებულება, ძალადაკარგულად გამოცხადდა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2015 წლის 21 დეკემბერის #115 ბრძანებით კი შეიქმნა ახალი კომისია და 2015 წლის 30 დეკემბერს, სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურის #122 ბრძანებით ცვლილება შევიდა ზემოთ დასახელებულ კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ 2015 წლის 21 დეკემბრის #115 ბრძანებაში. აღსანიშნავია, რომ კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ ახალი ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის საქმიანობის წესში სავალდებულო წესით შეხვედრების ჩატარების რაოდენობა აღარ ფიგურირებს.[3]

IDFI-მ 2018 წელსაც გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია სუს-იდან. სუს-იდან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2016-2017 წლებში კომისიაში იხილებოდა შესული მიმართვები დასანიშნი კანდიდატურების მიმართ თანამდებობების შემზღუდავი გარემოებების შესახებ, თუმცა განხილვის შედეგად ხსენებული გარემოებების გამოვლენის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. აქვე აღსანიშნავია, რომ სუსი არ აკონკრეტებს კონკრეტულად რამდენი მიმართვა იყო შესული უწყებაში ამ წლებში.[4]

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ლუსტრაციის ეფექტურად განხორციელების კუთხით რამდენიმე გამოწვევა არსებობს. უპირველეს ყოვლისა, პრობლემაა ის, რომ „КГБ“-ის საარქივო დოკუმენტების 80% თბილისის ომის დროს განადგურდა, რაც ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის სრულფასოვან ლუსტრაციას ქვეყანაში. ამასთანავე, არანაკლებ პრობლემური საკითხია ის, რომ აღნიშნული არქივების დიდი ნაწილი შესაძლოა რუსეთშიც ინახებოდეს. მაშინ კი, როცა რუსეთსა და საქართველოს შორის საქართველოს ტერიტორიების რუსული ოკუპაციის გამო დაძაბული ურთიერთობაა, ამ ტიპის მასალების რუსეთის ხელისუფლების განკარგულებაში ყოფნა საფრთხის შემცველია ქვეყნისთვის.[5] უმთავრესად, თუკი გავითვალისწინებთ 2016 წლიდან რუსეთის ხელისუფლების მცდელობებს, რომ ჩაერიოს უცხო ქვეყნის არჩევნებში, რაზეც 2019 წლის აშშ-ის სპეციალური პროკურორის, რობერტ მიულერის ანგარიშიც[6] მიუთითებს, ამგვარი დოკუმენტების რუსეთში არსებობა დამატებით მნიშვნელობასაც იძენს მაშინ, როცა საარჩევნო კანდიდატების თუ სხვადასხვა თანამდებობაზე დასანიშნი პირების პორტფოლიოს სრულად

[3] https://idfi.ge/ge/failed-lustration-in-georgia
[4] https://idfi.ge/public/upload/IDFI_2019/archieves_idfi/Kldiashvili_Lustration.pdf
[5] https://www.opengovpartnership.org/stories/accessing-archives-in-a-post-soviet-world-the-georgian-experience/
[6] https://www.justice.gov/storage/report.pdf

გადამოწმება დღესდღეობით საქართველოში ფაქტობრივად შეუძლებელია. ასევე, მნიშვნელოვანი საკითხია კანონით - „თავისუფლების ქარტია“ გათვალისწინებული კომისიის ეფექტურობა. 2018 წლამდე, IDFI-ის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კომისიის საქმიანობა საკმაოდ ბუნდოვანია. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ითვალისწინებს კომისიაში პარლამენტის წევრების მონაწილეობას, პარლამენტარების ჩართულობის ხარისხი საკმაოდ დაბალია.

ტოტალიტარული იდეოლოგიების ხელახლა აღმოცენებისა და ტოტალიტარული სიმბოლიკის გავრცელების პრევენცია

გარდა ლუსტრაციისა, „თავისუფლების ქარტიის“ მიზანს წარმოადგენს კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების საფუძვლების გაღვივების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელებასა და კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური სიმბოლიკის, საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების, ქუჩების, მოედნების, სოფლებისა და დაბების სახელწოდებების აღმოფხვრა, აგრეთვე კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების მატარებელი და პროპაგანდის სხვა საშუალებების აკრძალვა. აღნიშნულის მონიტორინგს კვლავ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში არსებული კომისია ახორციელებს. კანონის მიხედვით, კომისია აგროვებს ინფორმაციას ადმინისტრაციული ორგანოების მიერ კომუნისტური ტოტალიტარული ან/და ფაშისტური სიმბოლიკის, აგრეთვე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაზე გამოყენების თაობაზე, ასევე საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების შესახებ, ქუჩების, მოედნების, სოფლებისა და დაბების სახელწოდებების, აგრეთვე მასობრივი თავშეყრის სხვა ადგილების თაობაზე, რომლებიც შეიცავს კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების და პროპაგანდის ელემენტებს თუ ამ იდეოლოგიების ლიდერთა სახელებს. კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების მატარებელი სიმბოლიკის, ძეგლების, ბარელიეფების, წარწერების, სახელწოდებების აღმოფხვრის მიზნით კომისია მიმართავს უფლებამოსილ პირს. კომისიის მიმართვის შემთხვევაში უფლებამოსილი პირი ვალდებულია აღმოფხვრას კომუნისტური ტოტალიტარული ან/და ფაშისტური სიმბოლიკა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირს ეძლევა გაფრთხილება, კანონის ხელმეორედ დარღვევა კი ისჯება 1000 ლარიანი ჯარიმით.

2018 წელს IDFI-ის მიერ სუს-დან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის თანახმად, კომისიამ 2016 წელს ორ უფლებამოსილ პირს გაუგზავნა მიმართვა კომუნისტური ტოტალიტარული სიმბოლიკის აღმოფხვრის მიზნით და 2017 წელს სამ მიმართვასთან დაკავშირებით, ინიციატორებს ეცნობათ სათანადო ინფორმაცია. მომდევნო წლებში, შეიძლება ითქვას, რომ ტოტალიტარული სიმბოლიკის აღმოფხვრის კუთხით, კომისია უფრო გააქტიურებული იყო,

რაზეც მოწმობს საჯაროდ გაჟღერებული ფაქტებიც, როდესაც კომისიამ კონკრეტულ პირებს მიმართა ტოტალიტარული სიმბოლიკის აღმოფხვრის თაობაზე.

2018 წელს სუს-მა „სოციალისტური საქართველო“ გააფრთხილა, რომ 9 მაისს (ფაშიზმზე გამარჯვების დღე) დაგეგმილ აქციაზე არ გამოეყენებინათ საბჭოთა ტოტალიტარული სიმბოლიკა.[7] ასევე, 2018 წელს სუს-მა ფაშისტური ორგანიზაცია „ეროვნული ერთობა“ წერილობით გააფრთხილა, რომ ფაშისტური სიმბოლიკა არ გამოეყენებინათ.[8] იმავე სახის გაფრთხილება მიიღეს 2019 წელს პრორუსულმა ორგანიზაციამ „უკვდავი პოლკი“[9] და „საქართველოს სლავ ხალხთა კონგრესი“.[10] ასევე, 2018 წელს, მას შემდეგ, რაც ონლაინ გამოცემა „სამხრეთის კარიბჭემ“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით „სტალინის ძეგლები და მონუმენტები - აკრძალული საბჭოთა სიმბოლიკა სამცხე–ჯავახეთში“, რომელშიც საუბარია რეგიონში შემორჩენილი საბჭოთა სიმბოლიკის შესახებ[11], სუს-მა ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის თვითმმართველობებს, მათ მუნიციპალიტეტებში შემორჩენილი საბჭოთა სიმბოლიკების შესწავლის მიზნით, წერილობით მიმართა.[12] მუნიციპალიტეტებმა აღნიშნული საკითხის მოკვლევა დაიწყეს და სუს-ს შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდეს, თუმცა როგორც ისინი აცხადებდნენ, სუს–სგან საბჭოთა სიმბოლიკების დემონტაჟთან დაკავშირებით მითითება არ მიუღიათ.[13]

მიუხედავად არსებული რეგულაციისა, თანამედროვე საქართველოში კვლავ უხვად იძებნება საბჭოთა სიმბოლიკის გამომხატველი ძეგლები და სხვა ტიპის მემორიალები და ბოლო წლების განმავლობაში, არა ერთხელ დაფიქსირდა ფაქტი, როდესაც კონკრეტულმა პირებმა თვითნებურად აღმართეს მონუმენტი ან აქცია გამართეს, სტალინის ძეგლის მოთხოვნით. აღსანიშნავია, რომ მსგავსი შემთხვევები ძირითადად სწორედ სტალინის ფიგურას უკავშირდება, ვინაიდან ქართულ საზოგადოებაში სტალინი გარდა საბჭოთა წარსულისა, ქართულ ნაციონალისტურ სენტიმენტებთანაცაა დაკავშირებული, რაც დიდწილად საბჭოთა ნაციონალიზმის პოლიტიკამ, ისტორიის გადაწერამ და პროპაგანდამ განაპირობა. სწორედ ამის გამო, სტალინის ფიგურის მიმართ პოზიტიური განწყობები დღემდე, სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან შედარებით, შედარებით მაღალია საქართველოში.[14] მაგალითად, ბოლო შემთხვევა დაფიქსირდა სოფელ ზიკილიაში 2020 წლის თებერვალში, როდესაც ადგილობრივებმა სტალინის გამოსახულებიანი რკინის კონსტრუქცია აღმართეს, სოფელში მერის წარმომადგენელმა კი განაცხადა, რომ მონუმენტის აღდგენა მოსახლეობის სურვილი იყო და მათ წინააღმდეგ ვერ წავიდოდა.[15] ასევე, სტალინის ძეგლი 2019 წლის დეკემბერში

[7] https://netgazeti.ge/news/274696/
[8] https://bit.ly/2YtaddO
[9] https://bit.ly/3hVXUhU
[10] http://sknews.ge/index.php?newsid=22496
[11] http://sknews.ge/index.php?newsid=18381
[12] http://sknews.ge/index.php?newsid=18792
[13] http://sknews.ge/index.php?newsid=19104
[14] აღნიშნულ საკითხთან დაკავშიებით შეგიძლიათ იხილოთ შემდეგი კვლევები: De Waal, Thomas (ed.*), The Stalin Puzzle: Deciphering Post - Soviet Public Opinion*, Washington DC.: Carnegie Endowment Foundation, 2013; Gugushvili, Alaexi and Peter Kabachnik, 'Stalin is dead, long live Stalin? Testing socialization, structural, ideological, nationalist, and gender hypotheses'*, Post-Soviet Affairs*, 31, 2015, 1, pp. 1-36.
[15] http://sknews.ge/index.php?newsid=26009

კუთვნილი საწარმოს ეზოში დადგა მოქალაქემ, რუბენ ჩინჩალაძემ. მისი თქმით, საწარმოს შიდა ტერიტორიაზე ათწლეულების განმავლობაში იდგა სტალინის ბიუსტი, თუმცა 2019 წელს დიდი ზომის ქანდაკებაც დადგეს, თუმცა აღნიშნულ ფაქტზე სახელმწიფო ვერ ირეაგირებდა, ვინდაიდან კერძო ტერიტორიაზე საბჭოთა სიმბოლიკის განთავსებას კანონი არ კრძალავს, აღნიშნული მხოლოდ სახელმწიფო უწყებებს ეზღუდებათ.[16]

სტალინის გამოსახულებიანი კონსტრუქცია სოფელ ზიკილიაში[17]

სტალინის მონუმენტების აღდგენას, ასევე, ადგილი ჰქონდა სოფელ ზემო ალვანში 2012 წელს, 2015 წელს - შორაპანში[18], 2016 წელს - ატენში[19], 2018 წელს - გორში[20], 2019 წელს - თელავის სოფელ აკურაში[21]. ხშირ შემთხვევაში, სტალინის მონუმენტები მოსახლეობაში დაპირისპირების საგანიც გამხდარა. სტალინის ბიუსტები შეღებეს მცხეთაში, თელავში, აკურაში, ალვანში[22], ყვარელში[23], ატენში[24], ჩოხატაურში[25], რასაც, როგორც წესი, სტალინის ფიგურის მიმართ პოზიტიურად განწყობილ მოსახლეობაში ნეგატიური რეაქციები მოჰყვებოდა ხოლმე. ამ მხრივ, დღემდე განსაკუთრებით აქტუალურია გორში სტალინის

[16] https://netgazeti.ge/news/470856/
[17] წყარო: https://www.radiotavisupleba.ge/a/30457649.html
[18] https://netgazeti.ge/news/72913/
[19] http://www.tabula.ge/ge/photo/107529-sofel-atenshi-stalinis-dzegli-aghmartes
[20] https://bit.ly/2Ae8H67
[21] https://netgazeti.ge/news/363155/
[22] https://bit.ly/2ZhUm0V
[23] https://bit.ly/2NB59he
[24] https://www.qartli.ge/ge/akhali-ambebi/article/2541-atenshistalinisbiustivardisfradsheghebes
[25] http://www.gurianews.com/article/mtavari/politika/14826

დიდი ძეგლის დაბრუნება-არდაბრუნების საკითხი, რომელიც ამჟამად ბერბუკში, გორის მერიის მიერ დაფუძნებული „კეთილმოწყობის სააგენტოს“ სიახლოვეს ინახება.[26]

2010 წელს, მაშინდელმა ხელისუფლებამ გორის ცენტრში სტალინის ძეგლი ღამით, მოსახლეობის წინასწარი გაფრთხილებისა და მედიაში ინფორმაციის გავრცელების გარეშე აიღო. გორის საკრებულოს მაშინდელი გადაწყვეტილების მიხედვით, სტალინის ძეგლი უნდა გადატანილიყო სტალინის სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე, ეზოში, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილება დღემდე არ აღსრულებულა. სტალინის ძეგლის აღდგენასთან დაკავშირებული დისკუსიები კი ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, 2012 წელს კვლავ გააქტიურდა. 2013 წელს ადგილობრივმა მთავრობამ თანხაც გამოყო ძეგლის აღსადგენად, თუმცა ბალტიის ქვეყნების ელჩების თხოვნის შემდეგ, პროცესი შეჩერდა. 2015 წელს

[26] https://www.qartli.ge/ge/akhali-ambebi/article/13952-stalinis-dzegli-gadamales-

ორგანიზაციამ „გორელები“ გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიმართა თხოვნით, რომ აღდგენილიყო მონუმენტი. ამის შემდგომ მერიაში გაიმართა დისკუსია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. საბოლოოდ კი თვითმმართველობამ მხარი არ დაუჭირა ამ ინიციატივას და სტალინის ძეგლის აღდგენის მორიგი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. მიუხედავად ამისა, სტალინის ძეგლის გარშემო დისკუსიები დღემდე აქტუალური რჩება, რასაც მოწმობს ამ თემასთან დაკავშირებით გორში გამართული არა ერთი აქცია.[27] ასევე, 2015 წლის 21 სექტემბერს გორის საკრებულომ სხდომაზე განიხილა „სტალინის სახელმწიფო მუზეუმის მიმდებარე სკვერში სტალინის ძეგლის განთავსების ადგილის განსაზღვრის და ძეგლის განთავსების შესახებ“ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი. სხდომას ესწრებოდნენ საზოგადოების წარმომადგენლებიც, როგორც სტალინის ძეგლის დადგმის მომხრეები, ასევე - მოწინააღმდეგეებიც. საბოლოოდ, ჩატარდა კენჭისყრა, რომელშიც საკრებულოს 13-მა წევრმა მიიღო მონაწილეობა და აქედან ძეგლის აღდგენის სასარგებლოდ ხმა მისცა მხოლოდ ერთმა, 12-მა კი - წინააღმდეგ.[28]

ამასთანავე, საყურადღებოა, საქართველოში დღემდე არსებობს იოსებ სტალინის სახელობის ქუჩები, მაგალითად, გორში, დუშეთში, წალკაში და ლენტეხში. კომუნისტების სახელობის ქუჩები არის სამეგრელოშიც, რომელთა სიაც 2018 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ გადასცა ადგილობრივ ხელისუფლებას, თუმცა ორი წლის შემდეგაც, ამ საკითხზე მუშაობა ჯერ კიდევ არაა დასრულებული.[29] ხოლო, Google Maps თუ დავუჯერებთ, საქართველოში დღემდე გაცილებით მეტი ქუჩაა შემორჩენილი, რომელიც კომუნისტი ლიდერების სახელებს ატარებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ, ერთი მხრივ, რიგ შემთხვევებში, ქუჩების სახელების ცვლილება არაა ასახული Google Maps-ში, მეორე მხრივ კი კვლავ საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება და ქუჩებისთვის სახელების გადარქმევა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ადგილას შესაძლოა ამგვარ ინიციატივას წინააღმდეგობა შეხვდეს ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან. ამისათვის საჭიროა, რომ გარდა ქუჩებისთვის სახელების გადარქმევისა, გაიმართოს აქტიური დისკუსიები და საინფორმაციო შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან.

[27] იხილეთ: https://www.qartli.ge/ge/akhali-ambebi/article/12891-stalinis-dzeglis-dabrunebis-mothkhovnith-gorshi-aqcia-gaimartheba; https://sputnik-georgia.com/society/20151002/228666850.html

[28] ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოქმნი N20, 2 ოქტომბერი, 2015.

[29] https://bit.ly/2ZkBm1H


სტალინის ქუჩა
აღმაშენებლის სანაპირო
Kaspi
Directions
სტალინის ქუჩა
Sagaredzho
Directions
Stalin St
Tsalka
Directions
Stalini St
Gori
Directions
Showing results 1 - 4
Georgia
Tbilisi
Stalin St
Stalini St
Satellite
Google


Tbilisi-Kojori-Tsalka-Ninotsminda
Tbilisi-Kojori-Tsalka-Ninotsminda
Liberty Bank
Mamuli-Tetritskaro-Tsalka
Lenin St
Lenin St
Satellite
Google
Map data ©2020 Georgia Terms Send feedback 50 m



ასევე, კანონმდებლობით რეგულირდება ოფიციალური დასვენების დღეები და დღესასწაულები. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ბევრი საბჭოთა დღესასწაული გაუქმდა და საქართველო ოფიციალურად აღნიშნავს დამოუკიდებლობის დღეს 26 მაისს და 9 აპრილს – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღესა და საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღეს. მიუხედავად ამისა, დღემდე პრობლემურ საკითხად რჩება მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვების დღის აღნიშვნა. მაშინ, როცა ევროპული სახელმწიფოები ამ დღეს 8 მაისს ზეიმობენ, საქართველო კვლავ იმ პოსტ საბჭოთა ქვეყნების ჩამონათვალშია, სადაც ფაშიზმზე გამარჯვება 9 მაისს აღინიშნება.[30] აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო სენსიტიური ხდება იმის ფონზე, რომ ამ დღის პოლიტიკური მიზნებისა და პოსტ საბჭოთა სივრცეზე „პრივილეგირებული“ გავლენის შესანარჩუნებლად იყენებს თანამედროვე რუსეთის ფედერაცია.[31]

[30] 1945 წელს, გერმანიის კაპიტულაციის აქტს ხელი ევროპის დროით 8 მაისს, 22:43 საათზე მოეწერა, რა დროსაც მოსკოვში უკვე 9 მაისი იდგა და ისტორიულად სწორედ ამის გამო აღინიშნება ფაშიზმზე გამარჯვება სხვადასხვა დღეს ევროპასა და რუსეთში, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ამ განსხვავებამ პოლიტიკური მნიშვნელობაც შეიძინა.

[31] ამ თემაზე უფრო დეტალური ინფორმაციისთვის, იხილეთ IDFI-ის სტატია: https://idfi.ge/ge/russian_propaganda_and_immortal_regiment

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ტოტალიტარული იდეოლოგიების ხელახლა აღმოცენებისა და ტოტალიტარული სიმბოლიკის გავრცელების პრევენციის კუთხით, საქართველოში რამდენიმე გამოწვევა და საყურადღებო საკითხი არსებობს. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, რომ შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც სუს-ში არსებულ „თავისუფლების ქარტიით“ გათვალისწინებულ კომისიას საშუალებას მისცემს, მყისიერად და უფრო ეფექტურად იმუშაოს საჯარო სივრცეში ტოტალიტარული სიმბოლიკის გამოვლენის, აღკვეთისა და პრევენციის მიმართულებით. იქიდან გამომდინარე, რომ დღემდეა

შემორჩენილი საქართველოში კომუნისტი ლიდერების მონუმენტები და ქუჩები, მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტები აქტიურად ჩაერთონ ამგვარი სიმბოლიკის ინდეტიფიკაციისა და აღმოფხვრის საქმეში. ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ რიგ ადგილებში ამგვარი სიმბოლიკის აღმოფხვრამ შესაძლოა გამოიწვიოს ადგილობრივების უკმაყოფილება, საჭიროა აქტიური საინფორმაციო კამპანიების ჩატარება და დისკუსიების მოწყობა, რის შედეგადაც კონსენსუსის საფუძველზე მოხდება მსგავსი სიმბოლიკის აღება ან/და ჩანაცვლება. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, ეტაპობრივად გაფართოვდეს დისკუსია ფაშიზმზე გამარჯვების დღის 9 მაისის ნაცვლად 8 მაისს აღნიშვნასთან დაკავშირებით. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული საკითხი შესაძლოა საკმაოდ სენსიტიური იყოს მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისთვის, საჭიროა მათი აქტიურად ჩართვა დისკუსიებში.

მსხვერპლთა რეაბილიტაცია

მე-20 საუკუნის ბოლოს, აღმოსავლეთ ევროპასა და პოსტ საბჭოთა სივრცეში კომუნისტური რეჟიმების დანგრევის შემდეგ, სახელმწიფოებმა, რომლებმაც დემოკრატიზაციის კურსი აირჩიეს, საკუთარ თავზე აიღეს მოქალაქეთა დარღვეული უფლებების აღდგენისა და მათი სამართლებრივი რეაბილიტაციის ვალდებულება. ამ მხრივ, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, ყველაზე უფრო ეფექტური და სწრაფი ნაბიჯები გადადგეს ბალტიისპირეთის ქვეყნებმა - ესტონეთმა, ლატვიამ და ლიეტუვამ. საქართველოც იმ ქვეყნების ჩამონათვალშია, რომლებმაც პასუხისმგებლობა აიღეს ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლთა რეაბილიტაციაზე. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფოს ეკისრება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ვალდებულება. ე.ი. სახელმწიფო ვალდებულია საკუთარი ქმედებით არ დაარღვიოს ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები (ნეგატიური ვალდებულება), ხოლო სხვათა მიერ აღნიშნული დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ეფექტური ზომები დარღვეულ უფლებათა აღდგენის მიზნით (პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, კომპენსაცია, დამრღვევთა მიმართ შესაბამისი საკანონმდებლო სანქციების გამოყენება ა.შ.). სწორედ სახელმწიფოსადმი დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებიდან გამომდინარე, საქართველოს ეკისრება ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიებზე განხორციელებული პოლიტიკური რეპრესიების შედეგად დარღვეული უფლებების აღდგენა და ამ მიზნით, შესაბამისი ეფექტური ზომების მიღების ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ დემოკრატიული ღირებულებების, მათ შორის ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა პატივისცემა, წარმოადგენს საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული ასოცირების შეთანხმების ერთ-ერთ საკვანძო პრინციპს.

პირის მსხვერპლად აღიარების პროცედურები და ამგვარი სტატუსის მქონე პირებისთვის შეღავათები რეგულირდება საქართველოს საპროცესო ადმინისტრაციული კოდექსითა და „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონით, ისევე როგორც მთავრობის დადგენლებით “სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ”. კანონმდებლობის თანახმად,

ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე განხორციელებული პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლმა ან მისმა მემკვიდრემ, შესაბამისი სტატუსის მიღების მიზნით უნდა მიმართოს სასამართლოს, რის შემდეგაც მას ეძლევა სახელმწიფოს მიერ დაწესებული კომპენსაციისა და სოციალური დაცვის მიზნით დადგენილი შეღავათების მიღების უფლება. განცხადებას პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ უშუალოდ რეპრესირებული პირი, მისი კანონით მემკვიდრე, ან მათი წარმომადგენელი წარუდგენს იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მუდმივად ან დროებით ცხოვრობს რეპრესირებული პირი, ან მისი კანონით მემკვიდრე.

საქართველოს საპროცესო ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის სტატუსის მიღების შემდეგ, რეპრესირებული პირი, მისი პირველი რიგის მემკვიდრე ან მათი წარმომადგენელი უფლებამოსილი იყო, არაუგვიანეს 2018 წლის 1 იანვრისა, ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელი წარედგინა თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში რეპრესირებული პირის/მისი პირველი რიგის მემკვიდრის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ეს ნიშნავს იმას, რომ რეპრესიების მსხვერპლებსა და მათ მემკვიდრეებს ამჟამად არ აქვთ უფლება სასამართლოსთვის მიმართონ და საკუთარი დარღვეული უფლების აღდგენა მოითხოვონ. ამ ეტაპზე კი გაურკვეველია, კვლავ მიეცემათ თუ არა რეპრესიების მსხვერპლ პირებსა და მათ მემკვიდრეებს სასამართლოსთვის ხელახლა მიმართვის საშუალება.

მათთვის, ვინც 2018 წლის 1 იანვრამდე მიმართა სასამართლოს, გათვალისწინებული იყო კომპენსაცია 1,000 ლარიდან 2,000 ლარამდე. საერთო ჯამში, თბილისის საქალაქო სასამართლოში რეპრესირებულად აღიარების თაობაზე შევიდა 13.525 განცხადება, რომელთაგან სასამართლომ წარმოებაში მიიღო 11.539, დააკმაყოფილა 11.511 და არ დააკმაყოფილა მხოლოდ 28. ქუთაისში, 5.517 მიღებული საქმიდან, დაკმაყოფილდა - 4.957. შესაბამისად, საქართველოში სულ რეპრესიების მსხვერპლად ცნობილი იქნა 16.468 პირი და მათ ან მათ კანონიერ მემკვიდრეებს მიეცათ კანონით გათვალისწინებული კომპენსაცია.

რაც შეეხება საყოფაცხოვრებო-კომუნალურ შეღავათებს, 2006 წლის პირველ იანვრამდე, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლი მოიცავდა ჩანაწერს საყოფაცხოვრებო-კომუნალური შეღავათების შესახებ 50%-ის ოდენობით. შეღავათები ვრცელდებოდა წყლის, თბოენერგიის, ელექტროენერგიის, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისა და სატელეფონო გადასახადებზე. ასევე, დამატებით, საცხოვრებელი ფართის ქირის შეღავათებით სარგებლობდნენ პირები, რომლებიც ცხოვრობდნენ სახელმწიფო ფონდის სახლებში. თუმცა, კანონის მოცემული ჩანაწერი გაუქმდა „სოციალური დახმარების შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ, 2006 წლის პირველი იანვრიდან. ამჟამად, საყოფაცხოვრებო სუბსიდიათა გადანაწილების საკითხი დარეგულირებულია „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“ მთავრობის დადგენილებით, რომლის თანახმადაც, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღებთა კატეგორიებს შორის არიან პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირები და მათი ოჯახების შრომისუუნარო წევრები. მათთვის გათვალისწინებულია საყოფაცხოვრებო სუბსიდია ყოველთვიურად 7 ლარის ოდენობით.

საყოფაცხოვრებო სუბსიდია:

- პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებს და მათი ოჯახების შრომისუუნარო პირებს - **7 ლარი**

სოციალური პაკეტები:

- პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირებისთვის - **107 ლარი**;
- პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირებისთვის, რომლებიც ამავდროულად არიან სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლოს მოქმედების მონაწილეები - **122 ლარი**;
- **7 ლარით** გაუმჯობესებული სოციალური პაკეტები, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სხვადასხვა სოციალური კატეგორიის ჯგუფებს (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, მარჩენალ დაკარგული პირები და სხვა).

IDFI, საბჭოური პერიოდის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნისა და თანადგომის საზოგადოება "მემორიალთან" ერთად, აქტიურად ითხოვს რეპრესირებულ პირთათვის განკუთვნილი სოციალური და საყოფაცხოვრებო სუბსიდიის (7 ლარი) გაზრდას და მათ გათანაბრებას საყოფაცხოვრებო სუბსიდიის იმ ოდენობასთან (44 ლარი). ამ მიმართულებით, ორგანიზაციამ ჩაატარა ორი მნიშვნელოვანი კვლევა - „პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სამართლებრივი რეაბილიტაციის მექანიზმები საქართველოში და მათი შეფასება" და „პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სოციალური დახმარების სტატისტიკა", სადაც უფრო დეტალურადაა შესაძლებელი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სამართლებრივი რეაბილიტაციის კუთხით არსებული სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზისა და შესაბამისი სოციალური დახმარების მიმღები პირების სტატისტიკის ნახვა. აქვე, წარმოდგენილია რეკომენდაციები მსხვერპლთა რეაბილიტაციის კუთხით სახელმწიფო პოლიტიკის გასაუმჯობესებლად. ასევე, IDFI-ის ინიციატივით, შეიქმნა პეტიცია რეპრესიების მსხვერპლთა სოციალური დახმარების 7 ლარიდან 44 ლარამდე გაზრდის თაობაზე.

IDFI საჭიროდ მიიჩნევს, რომ განახლდეს 2018 წლის 1 იანვრიდან შეწყვეტილი, რეპრესირებულ პირთა ან მათ მემკვიდრეთა უფლება ერთჯერადი ფინანსური დახმარების მიღების მიზნით, შესაბამისი განცხადებით მიმართონ სასამართლოს და გაიზარდოს დადგენილი ერთჯერადი დახმარების ოდენობა, რომელიც 2018 წლის 1 იანვრამდე, 1.000-დან 2.000 ლარამდე მერყეობდა. ასევე მნიშვნელოვანია, რეპრესირებულთათვის ყოველთვიური სუბსიდიის 7 ლარიდან 44 ლარამდე გაზრდა, რაც ასევე არასაკმარისი თანხაა მათი ყოველდღიური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ სხვა სოციალური კატეგორიებისთვის (მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისთვის) დაწესებული საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობა სწორედ ამდენია და მნიშვნელოვანია, რომ მინიმუმ ამ კატეგორიებთან გათანაბრდეს აღნიშნული სუბსიდია. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილ იქნეს რეპრესირებულ პირთა გათავისუფლება საყოფაცხოვრებო-კომუნალური გადასახადებისგან, რეპრესირებულებს, რომლებიც არ

ფლობენ საცხოვრებელ ფართს, მიეცეთ ყოველთვიური დახმარება ქირის გადასახადის სრული ან ნაწილობრივი დაფარვის მიზნით, კანონით დადგენილი იყოს მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობის შეღავათი რეპრესირებული პირებისათვის და რეპრესირებულ პირთათვის გათვალისწინებული სოციალური დახმარებისა და საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობა ითვალისწინებდეს რეალურ საარსებო მინიმუმს.

ინსტიტუციური განზომილება

სახელმწიფო ინსტიტუტები/ორგანიზაციები

გარდა „თავისუფლების ქარტიით“ გათვალისწინებული კომისიისა, რომელიც სუს-ში ფუნქციონირებს, საქართველოს უახლეს ისტორიაში რამდენიმე კომისია შეიქმნა საბჭოთა რეჟიმის დანაშაულების გამოსაძიებლად. პირველი ასეთი კომისია იყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ შექმნილი „1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემსწავლელი კომისია“. 1989 წლის 9 აპრილს, საბჭოთა ჯარმა სასტიკად ჩაახშო ანტი-საბჭოური დემონსტრაცია თბილისის ცენტრში, რუსთაველის გამზირზე. დარბევის დროს გამოყენებული იყო ქიმიური საშუალებები, სასანგრე ბარები, ცეცხლსასროლი იარაღი, ჯავშანტრანსპორტიორები და ტანკები, რის შედეგადაც დაშავდა ასობით და გარდაიცვალა 21 ადამიანი. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება მომხდარის შესახებ ინფორმაციის დამალვას ცდილობდა, საზოგადოებაში ცნობები 9 აპრილის ღამეს მომხდარის შესახებ სწრაფად გავრცელდა და საპროტესტო მუხტი გაღვივდა. 9 აპრილის ტრაგედიის შემსწავლელი კომისიის დაარსება სწორედ ამ მომძლავრებულმა პროტესტმა და დიდმა საერთაშორისო ზეწოლამ განაპირობა. მალევე, კომისიამ გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც დემონსტრაციის მონაწილეების, სამხედროების, მსხვერპლთა და თვითმხილველების ჩვენებების საფუძველზე, გაანალიზებული იყო მომხდარი მოვლენები. ანგარიშის მიხედვით, მშვიდობიანი პროტესტის ჩახშობაზე გადაწყვეტილება კომუნისტური პარტიის მაღალჩინოსნება და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქს ეკუთვნოდა. თუმცა, მიუხედავად ამგვარი დასკვნისა, ტრაგედიაზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება არ მომხდარა და არც პასუხისგებაში მიუციათ ვინმე. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც კი, არ გასამართლებულან მომხდარზე პასუხისმგებელი პირები.

კიდევ ერთი კომისია, რომელიც საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დანაშაულების შესწავლაზე მუშაობდა, საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში შეიქმნა. გორბაჩოვის „პერესტროიკას“ დროს საბჭოთა ხელისუფლებას ჰქონდა მცდელობა, მოსახლეობაში არსებული სოციალური პროტესტი ხელისუფლების მიერ გამოცემული რეზოლუციებით გაექარწყლებინა. ამისათვის, ისევე, როგორც ყველა სხვა საბჭოთა რესპუბლიკაში,

საქართველოშიც შეიქმნა „საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსთან 30-40-იანი წლებისა და 50-იანი წლების დამდეგის პერიოდში მომხდარი რეპრესიების მსხვერპლთა მიმართ სამართლიანობის აღდგენის კომისია“. კომისიის მთავარი ფუნქცია იყო, რომ ხელახლა შეესწავლა იმ პირების საქმეები, რომლებიც რეპრესირებულები იყვნენ საბჭოთა რეჟიმის დროს, მოეხდინა მსხვერპლთა რეაბილიტაცია და განესაზღვრა მათი კომპენსაცია და სოციალური დახმარება. კომისიის შემადგენლობაში იყვნენ წარმომადგენლები როგორც სახელმწიფო, ასევე საბჭოთა სამოქალაქო ორგანიზაციებიდან. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მათი გაცხადებული მიზანი იყო საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლთა რეაბილიტაცია, რეალურად, კომისია ძირითადად ფოკუსირებული იყო მხოლოდ იმ მსხვერპლებზე, რომლებიც მაღალი თანამდებობის პირების ან პარტიის წევრების ოჯახებიდან იყვნენ. 1990 წლის ბოლოსკენ, სსრ საქართველოს უშიშროების კომიტეტის მიერ მომზადებული იყო დასკვნა 11,203 პირზე, რომლებიც რეაბილიტაციას ექვემდებარებოდნენ, თუმცა რეალურად მხოლოდ 663 პირის რეაბილიტაცია განხორციელდა. მიუხედავად ამისა, არც აღნიშნული კომისიის მუშაობას მოჰყოლია რეპრესიებში მონაწილე პირების სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაყენება. საბჭოთა კავშირის დაშლამდე, კრიტიკა, როგორც წესი, მიემართებოდა ზოგადად სისტემისკენ და არა კონკრეტული პასუხისმგებელი პირებისკენ. მხოლოდ ზემოთ განხილული „თავისუფლების ქარტიის“ მიღების შემდეგ გახდა შესაძლებელი რეპრესიულ აპარატში დასაქმებული პირების პასუხისმგებლობის დაყენება, თუმცა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ეს პროცესიც არასრულფასოვნად მიმდინარეობს, ამ მიმართულებით მომუშავე სუს-ში არსებული კომისიის ეფექტურობა კი საკმაოდ ბუნდოვანია.[32]

უკვე საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, 2010 წელს, საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით, შეიქმნა კიდევ ერთი „საქართველოს ისტორიული სიმართლის დამდგენი კომისია“. ზემოხსენებული კომისიებისგან განსხვავებით, აღნიშნული კომისიის მიზანი არ ყოფილა მსხვერპლთა რეაბილიტაცია ან ტოტალიტარული რეჟიმის კონკრეტული დანაშაულების გამოძიება და დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემა. „საქართველოს ისტორიული სიმართლის დამდგენი კომისია“ ძირითადად ფოკუსირებული იყო ძირითადად 1801 წლიდან მოყოლებული თანამედროვეობამდე, 2008 წლის ომის ჩათვლით, რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების ანალიზსა და თანმიმდევრული ისტორიული ნარატივის შექმნაზე. კომისიის წევრები იყვნენ ისტორიკოსები, სოციოლოგები და სხვა სპეციალისტები, რომლებიც იკვლევდნენ საბჭოთა და რუსეთის იმპერიულ წარსულს. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული კომისიის შექმნა დიდწილად 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბული ურთიერთობების შედეგი იყო. საბოლოოდ, მუშაობის შედეგად, კომისიამ გამოაქვეყნა 50-გვერდიანი ანგარიში სათაურით „რუსული ოკუპაციის 200 წელი“. „რუსული ოკუპაციის 200 წელი“ მალევე იქცა ე.წ. მეტანარატივად, რომელიც რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების - აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის თანამედროვე ოკუპაციას აკავშირებს ჯერ რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიასთან შემდეგ კი ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაპყრობასთან. შესაბამისად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

[32] http://www.cevro.cz/web_files/soubory/democracy-guide/MoN-DTG%202018%20-%20(6)%20The%20Georgian%20Experience.pdf

აღნიშნული კომისია უფრო მეტად ემსახურებოდა თანამედროვე მოვლენების ისტორიული კონტექსტით ახსნას, ვიდრე წარსულის გადააზრებას, შეფასებას და ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლთა რეაბილიტაციას.

არასამთავრობო ორგანიზაციები

მძიმე 1990-იან წლებში, როდესაც საქართველომ მძიმე ეთნიკური და სამოქალაქო დაპირისპირება გამოიარა პარალელურად მძიმე კრიმინალური გარემოს ფონზე, სსრკ-ის მსხვერპლთა რეაბილიტაციაზე და მათი ხსოვნის უკვდავყოფაზე ქვეყანაში სულ ორი სამოქალაქო ორგანიზაცია მუშაობდა. ერთ-ერთი მათგანია „საქართველოს გერმანელთა ასოციაცია - Einung“, რომელიც 1991 წელს დაარსდა და დღემდე ფუნქციონირებს. ორგანიზაციის მთავარი მიზანია საბჭოთა კავშირის მიერ გერმანელების დეპორტაციის კვლევა და მათი ეროვნული, კულტურული და რელიგიური ტრადიციების გადარჩენა. ამისათვის, ორგანიზაცია საქართველოში მცხოვრებ გერმანელებს ეხმარებოდა, რომ მსხვერპლის სტატუსი და შესაბამისი კომპენსაცია მიეღოთ. ამასთანავე, ორგანიზაცია აქტიურად მართავს 1941 წელს გერმანელების დეპორტაციის ხსოვნისადმი მიძღვნილ სხვადასხვა ღონისძიებას.

კიდევ ერთი ორგანიზაცია, რომელმაც 1990-იანი წლებიდან დაიწყო მუშაობა არის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნისა და თანადგომის საზოგადოება "მემორიალი“, რომელიც რეპრესიების მსხვერპლთა შთამომავლებმა დააარსეს 1992 წელს. ორგანიზაცია, რეპრესირებულების შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად, მუშაობდა საარქივო მასალებზე და შედეგად შეაგროვა უნიკალური არქივი, რომელიც მოიცავს 30,000 რეპრესირებულის კარტოთეკას, 9,000 რეპრესირებულის განცხადების ფორმას, საბჭოთა რეპრესიებისა და რეპრესირებულთა შესახებ პუბლიკაციების, ვიდეო და აუდიო მასალას, რომელშიც ასახულია ორგანიზაციის შეხვედრები. 1990-იან წლებში ორგანიზაცია, ასევე, აქტიურად ახორციელებდა სხვადასხვა სოციალურ კამპანიას და აქვეყნებდა გაზეთს „მემორიალი“, რომლის მეშვეობითაც ადვოკატირებდნენ საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა რეაბილიტაციას და შესაბამისი სოციალური დაცვით უზრუნველყოფას.

2009 წელს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) დაარსდა. დაარსების დღიდან, ორგანიზაცია ჩართულია საქართველოს საბჭოთა წარსულის შესწავლაში და დახმარებას უწევს რეპრესირებულებსა და მათ შთამომავლებს შესაბამისი საარქივო მასალის მოძიებასა და კომპენსაციის მიღებაში. IDFI-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა არქივების ღიაობის ხელშეწყობა და ადვოკატირება. ორგანიზაციის ადვოკატირების კამპანიის შედეგად, საქართველოს კომუნისტური პარტიის ყოფილი არქივი გადაურჩა განადგურებას და სსრ საქართველოს „კგბ“-ის ყოფილი არქივი გაიხსნა ფართო საზოგადოებისთვის. IDFI, ასევე, აქტიურად იყო ჩართული 1956 წლის 9 მარტთან[33]

[33] 1956 წელს, კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობაზე ნიკი ხრუშჩოვის „საიდუმლო“ გამოსვლის შემდეგ, როდესაც მან დაგმო სტალინის პიროვნების კულტი, საქართველოში მასობრივი

დაკავშირებული საარქივო მასალების ელექტრონული ბაზის შექმნაში. 2017 წელს ორგანიზაციამ, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით, დაიწყო არქივების ღიაობის შეფასება ყოფილ საბჭოთა და აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებში და შეიქმნა არქივების ღიაობის საერთაშორისო რეიტინგი. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, IDFI-მ საქართველოს პარლამენტში შეიტანა საკანონმდებლო წინადადება „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების და დამატებების შეტანის თაობაზე. ამასთანავე, ორგანიზაციამ დაარსების დღიდან დღემდე ჩაატარა არაერთი კონფერენცია და შეხვედრა არქივების ღიაობისა და საბჭოთა კვლევების შესახებ საერთაშორისო და ადგილობრივი მკვლევარების მონაწილეობით.

IDFI, ასევე, თანამშრომლობს ორგანიზაცია „მემორიალთან“. მას შემდეგ, რაც 2009 წელს „მემორიალის“ შენობა გაიყიდა, IDFI-მ საკუთარ ოფისში გამოყო სივრცე ორგანიზაციის თანამშრომლებისა და საარქივო მასალებისთვის. ასევე, ორგანიზაციებმა ერთობლივად განახორციელეს რამდენიმე პროექტი: „სტალინური სიები საქართველოდან“, რომელიც მოიცავს ელექტრონულ მონაცემებს სტალინის 1937-1938 წლების დიდი ტერორის მსხვერპლთა შესახებ, გამოფენა 1937-1938 წლების რეპრესიებზე, სტალინიზმის ისტორიაზე, მასობრივ ტერორსა და რეპრესიების მსხვერპლებზე ლექციები, პრეზენტაციები და სხვა ტიპის ღონისძიებები.

კიდევ ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს საბჭოთა წარსულისა და მისი მემკვიდრეობის კვლევებზე მუშაობს არის 2010 წელს დაარსებული „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია“ (SovLab). ორგანიზაციამ შექმნა „წითელი ტერორის ტოპოგრაფია“ - ისტორიული და საგანმანათლებლო ტური, რუკა, რომელზეც ასახულია კონკრეტული ადგილების, სახლებისა და იმ ადამიანების ისტორიები, რომლებიც იქ ცხოვრობდნენ. ორგანიზაცია, ასევე, აქტიურად ადვოკატირებს არქივების ღიაობას როგორც საზოგადოებრივ სივრცეში, ასევე - პარლამენტში, თუმცა მათი ისევე, როგორც IDFI-ის მცდელობები, რომ ცვლილებები შესულიყო არქივებთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში, ჯერჯერობით უშედეგოდ დასრულდა.[34]

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით საქართველოში საბჭოთა წარსულისა და მასთან დაკავშირებულ კვლევებზე ბევრი ორგანიზაცია არ მუშაობს, თუმცა არსებული ორგანიზაციები საკმაოდ აქტიურად ადვოკატირებენ არქივების ღიაობას, ეფექტური მეხსიერების პოლიტიკის შემუშავებას და მსხვერპლთა რეაბილიტაციას. მიუხედავად ამისა, ხშირ შემთხვევაში, აღნიშნული საკითხები სახელმწიფოს ყურადღების მიღმა რჩება, ვინაიდან არ მოიაზრება პრიორიტეტულ თემებად. ამიტომ, საჭიროა, რომ საბჭოთა წარსულის კვლევებზე მომუშავე ორგანიზაციებსა და სახელმწიფოს შორის

დემონსტრაციები დაიწყო. ქართველებმა აღნიშნული გამოსვლა ქართველების შეურაცხყოფად აღიქვეს და მალევე დემონსტრაციების მთავარი მოთხოვნა საქართველოს დამოუკიდებლობა გახდა. 9 მარტს, საბჭოთა ჯარიმა დემონსტრაცია სასტიკად ჩაახშო.

[34] http://www.cevro.cz/web_files/soubory/democracy-guide/MoN-DTG%202018%20-%20(6)%20The%20Georgian%20Experience.pdf

თანამშრომლობის ხარისხი გაიზარდოს, რათა ქვეყანაში ეფექტური მეხსიერების პოლიტიკის წარმართვა გახდეს შესაძლებელი.

მემორიალური განზომილება

ახალი მემორიალები

გარდა საბჭოთა ძეგლების, მემორიალებისა და სხვა სიმბოლიკისა, რომელზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ და აღვნიშნეთ, რომ კვლავ უხვადაა შემორჩენილი საქართველოს ტერიტორიაზე მიუხედავად „თავისუფლების ქარტიით“ გათვალისწინებული აკრძალვისა, წარსულ ტოტალიტარულ რეჟიმთან დაკავშირებული მეხსიერების პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ახალი მემორიალები და მეხსიერების ადგილები. ამგვარი ადგილების ფუნქციაა წარსული ტოტალიტარული რეჟიმისა და მის წიაღში წარმოქმნილი ნარატივების გადააზრება და მსხვერპლთა ხსოვნა.

დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, მიუხედავად 1990-იან წლებში დაძაბული შიდა და გარე პოლიტიკური ვითარებისა, საქართველოში დაიწყო ახალი მეხსიერების ადგილების გაჩენა. მაგალითად, თუკი საბჭოთა კავშირის არსებობის 70 წლის განმავლობაში, აქტიურად მიმდინარეობდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის, მენშევიკებისა და 1921 წელს წითელი არმიის წინააღმდეგ მებრძოლთა წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს ტერიტორიაზე გაჩნდა იუნკერთა მემორიალი კოჯორში. ასევე, თბილისის მთავარ მოედანს, რომელსაც 1953 წლიდან ლენინის მოედანი ეწოდებოდა, 1990 წელს, ზვიად გამსახურდიას ინიციატივით დაუბრუნდა ძველი სახელწოდება და დაერქვა თავისუფლების მოედანი. ამავე მოედანზე არსებობდა ლენინის ქანდაკება, რომელიც 1990 წლის 29 აგვისტოს ხალხის თანდასწრებით აიღეს და მისი ადგილი შადრევანმა დაიკავა. როგორც ცნობილია, აღნიშნულ „ოპერაციას“ თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ნიკო ლეკიშვილი ხელმძღვანელობდა. ვარდების რევოლუციის შემდეგ კი ამავე ადგილას აღიმართა წმინდა გიორგის ქანდაკება, რომელსაც ავტორმა, ზურაბ წერეთელმა და მაშინდელმა ხელისუფლებამ „თავისუფლებისა და გამარჯვების მონუმენტი“ უწოდეს.[35] ვარდების რევოლუციის კონტექსტში, აღნიშნული მონუმენტის დაკავშირება წარმატებულ რევოლუციურ მოძრაობასთანაც ხდება ხოლმე, რომლის გადამწყვეტი დღეც 23 ნოემბერი, გიორგობა იყო[36].

1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ტერიტორიაზე ნელ-ნელა ქრებოდა სხვა საბჭოთა სიმბოლიკის მატარებელი ძეგლებიც: ორი სერგო ორჯონიკიძე: ქვის, რომელიც იდგა

[35] https://www.radiotavisupleba.ge/a/1543918.html
[36] https://www.radiotavisupleba.ge/a/24095095.html

მუშტაიდის ბაღში და ბრინჯაოსი გაბაშვილის ქუჩაზე; ნესტორ კალანდარიშვილი - ლისის ტბაზე სკვერში; ქვის ფელიქს ძერჟინსკი, რომელიც იდგა მ. ჯავახიშვილის ქუჩის სკვერში; ორი ბრინჯაოს ბორის ძნელაძე - ერთი იდგა გ. ლეონიძის ბაღში, მეორე - ქალაქ ბორის ძნელაძეში; ბრინჯაოს სერგეი კიროვი ვერის ბაღში; ვასილ კიკვიძის ძეგლი კიკვიძის სახელობის პარკში; ქვის კამო უზნაძის ქუჩაზე; ბეტონის როზა ლუქსემბურგი ნაძალადევის პარკში; ბრინჯაოს ალიოშა ჯაფარიძე ჩიტაიას ქუჩაზე მდებარე სკვერში და სხვა.[37] ასევე, რუსთაველის გამზირიდან აიღეს ძეგლი „შრომა, მეცნიერება, ტექნიკა“ (მოქანდაკეები ვ. თოფურიძე, შ, მიქატაძე), რომელიც პარლამენტის წინ იდგა.

„შრომა, მეცნიერება, ტექნიკა“

საბჭოთა სიმბოლიკის გამომხატველი ძეგლების აღების მეორე ტალღა კი 2000-იან წლებში დაიწყო და ამ პერიოდის ყველაზე უფრო გახმაურებული შემთხვევა გორში, სტალინის ძეგლის აღება იყო, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ამის შემდგომ კი, ასევე, არანაკლებ გახმაურებული შემთხვევა იყო ორთაჭალჰესის ძირითადი კორპუსიდან სტალინის ბარელიეფის მონგრევა. ასევე, აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში და განსაკუთრებით 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, აქტიურად იქმნებოდა ახალი მეხსიერების ადგილები. უმეტესწილად ამ ახალი ადგილების ფუნქცია „რუსეთის 200-წლიანი ოკუპაციის“ შესახებ ნარატივის რეპრეზენტაცია იყო. ამის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი, გორში, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალის წინ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომებში დაღუპულთა მემორიალის აღმართვა იყო.

[37] https://bit.ly/3gKMA6D

მეორე მსოფლიო ომისა და აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომების მემორიალები გორში

ზოგადად, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობოდა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ისევე, როგორც 2008 წლის ომში დაღუპულთა მემორიალების აღმართვას. ამ მხრივ ყველაზე გრანდიოზული პროექტი თბილისში, გმირთა მოედანზე განხორციელდა, სადაც ორი ამგვარი მემორიალია განთავსებული. ერთი - მემორიალური დაფა, რომელთანაც საპატიო ყარაული დგას, მეორე კი - გრანდიოზული მონუმენტი, რომელზეც წაწერილია დაღუპულთა სახელები და რომელიც სამანქანო ესტაკადის ცენტრში დგას.

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს სხვადასხვა ხელისუფლების ქვეშ ძველი მემორიალების დაშლისა და ახლების აღმართვის გზით ადგილი ჰქონდა მცდელობებს, რომ გადააზრებულიყო საბჭოთა წარსული, ყოველთვის ნაკლები ყურადღება ეთმობოდა საბჭოთა ტერორს მსხვერპლთა სათანადო ხსოვნას. ამაზე ცალსახად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მაშინ, როცა, ბევრ ქვეყანაში რეპრესირებულთა დახვრეტის და დამარხვის ადგილებზე მოწყობილია მემორიალური კომპლექსები, ხელისუფლების ხელშეწყობით, იმართება რეპრესირებულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი საგანმანათლებლო და სხვა სახის ღონისძიებები და წახალისებულია ამ მიმართულებით კვლევები, ამგვარი რამ საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობს.

ამ მხრივ ყველაზე საინტერესოა 2019 წელს ბათუმთან ახლოს აღმოჩენილი საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა მასობრივი სამარხების საკითხი. 2019 წლის აპრილში ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიამ გაავრცელა ინფორმაცია, ბათუმთან ახლოს, თავდაცვის სამინსიტროს ერთ-ერთ სამხედრო ბაზაზე, სადაც მანამდე განთავსებული იყო საბჭოთა სატანკო ნაწილი, 1937-1938 წლებში საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა მასობრივი სამარხების აღმოჩენის შესახებ. ადგილზე დაახლოებით 150 ადამიანის ნეშტი იქნა ნაპოვნი. იქიდან გამომდინარე,

რომ აქ აღმოჩენილი ხუთი სამარხი პირველია საქართველოში, აღნიშნული ადგილი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა სახელმწიფოს მხრიდან. სახელმწიფოს მხრიდან თავდაპირველად გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა სამაროვნების შესწავლის კუთხით, რაც აჩენდა იმის მოლოდინს, რომ აღნიშნულ საკითხს სათანადო ყურადღება დაეთმობოდა. ეპარქიის მიერ ინფორმაციის გავრცელებიდან რამდენიმე დღეში, აჭარის მთავრობამ აჭარის ჯანდაცვის სამინისტროსთან შექმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა სამარხების საკითხის შესწავლა, მუშაობა ნეშტების იდენტიფიკაციაზე, დაკრძალვის ორგანიზება და მემორიალის მოწყობა; სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ ნეშტებიდან დნმ მასალა აიღო და შექმნა შესაბამისი ბაზა; ასევე, აჭარის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ახლადაღმოჩენილი სამარხების შესწავლის და შესაბამისი სამუშაოების ჩატარების მიზნით, ეთხოვა სამუშაო ჯგუფის შექმნა; ზემოხსენებულ მისამართზე ახალი სავარაუდო სამარხების აღმოჩენის და შესწავლის მიზნით, მომზადდა სიტუაციური ნახაზი და გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია ტერიტორიის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან. თუმცა, მალევე, სახელმწიფოს მხრიდან რეპრესირებულების სამარხისადმი ინტერესი და ყურადღება შემცირდა და სამარხების აღმოჩენიდან ერთი წლის განმავლობაში ამ მიმართულებით პროგრესი არ შეინიშნება.

დღიდან სამარხების აღმოჩენისა, IDFI აქტიურად ჩაერთო ბათუმში და აჭარაში რეპრესირებული პირების შესახებ საარქივო დოკუმენტების მოძიებაში. ორგანიზაციის მიერ შსს არქივში ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ 1937-1938 წლებში სხვადასხვა სადამსჯელო ოპერაციის შედეგად აჭარაში სულ 1050 ადამიანი დახვრიტეს, რომელთა შორისაც 11 იყო ქალი, ასევე მართლმადიდებელი და მუსლიმი სასულიერო პირები. ეს ნიშნავს იმას, რომ თუნდაც ერთი ქალის ნეშტის იდენტიფიცირება საშუალებას მისცემს მკვლევარებს დაადგინონ თუ რომელ რიცხვში დახვრეტილი ადამიანები არიან ამა თუ იმ სამარხში მოთავსებული. აგრეთვე, აუცილებელია შსს არქივში დაცული, სხვადასხვა დღეს განხორციელებული დახვრეტების ოქმების რაოდენობის შედარება სამარხებში აღმოჩენილი ნეშტების რაოდენობასთან, რადგან როგორც წესი, ზოგიერთ დღეს იხვრიტებოდა რამდენიმე ათეული ადამიანი და რიცხვების დამთხვევის შემთხვევაში, იდენტიფიკაცია გამარტივდება. IDFI-მ აღნიშნული სია გადასცა ბათუმის და ლაზეთის ეპარქიის წარმომადგენლებს.

2019 წელს IDFI-მ რამდენიმე წერილით მიმართა ჯერ აჭარის მთავრობას და შემდგომში საქართველოს პრემიერ მინისტრს და მოუწოდა რომ ქმედითი და დროული ნაბიჯები გადაედგათ საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა სამაროვნებისა და ნეშტების კვლევის, დაკრძალვისა და ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით. თუმცა ერთი წლის შემდეგაც, სამარხები და ნეშტები კვლავ გამოუკვლეველია, არც აღნიშნული ადგილას მემორიალის მოსწყობად დაწყებულა სამზადისი და არც საგანმანათლებლო ან სხვა სახის ღონისძიებებს ჩაყრია საფუძველი. რაც მთავარია, დღემდე არ არის მიღებული გადაწყვეტილება საერთო სამარხის მოწყობის ან ნეშტების იდენტიფიცირების და მათი ოჯახებისთვის გადაცემის შესახებ.

IDFI-ის რეკომენდაციები სახელმწიფოს მიმართ ერთი წლის შემდეგაც იგივე რჩება:

- აჭარის ა/რ მთავრობამ უნდა გამოყოს შესაბამისი ბიუჯეტი 1937-1938 წლებში ბათუმთან რეპრესირებულთა დახვრეტის და დამარხვის ადგილების შესასწავლად,

რეპრესირებულთათვის სათანადო პატივის მისაგებად, მათი ნეშტების იდენტიფიკაციისთვის და ხსოვნის უკვდავსაყოფად;

- უნდა დაკომპლექტდეს არქეოლოგთა და სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც იმუშავებს უკვე აღმოჩენილ სამაროვნებზე და ასევე გააგრძელებს დანარჩენი სამაროვნების ძებნას;

- ტერიტორია, სადაც სამარხები აღმოჩნდა, თავდაცვის სამინისტროს ბალანსიდან უნდა გადაეცეს ბათუმის მერიას და აქ უნდა მოეწყოს საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა მემორიალური კომპლექსი;

- რეპრესიების მსხვერპლთა აღმოჩენილი ნეშტების იდენტიფიცირების მიზნით უნდა წარიმართოს აქტიური კამპანია, რათა რაც შეიძლება მეტმა რეპრესირებულთა შთამომავალმა ჩააბაროს საკუთარი დნმ მასალა, რომელიც შედარებული იქნება ნეშტებიდან აღებულ ნიმუშებთან. IDFI-ს მიერ გამოვლენილი სიის მიხედვით დგინდება, რომ რეპრესიების დროს პერიოდულად, კონკრეტულ თარიღებში ხვრეტდნენ რამდენიმე ათეულ ადამიანს, რომლებსაც ერთ სამარხში ათავსებდნენ (ასეთი ჯერჯერობით სულ ხუთი სამარხია აღმოჩენილი). იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რამდენიმე ნეშტის იდენტიფიკაცია მაინც, ზუსტად დადგინდება, თუ რომელ დღეს დახვრეტილი ადამიანები არიან მოთავსებული სამარხში;

- უნდა წარიმართოს ცნობიერების ამაღლების კამპანიები მოსახლეობაში, განსაკუთრებით სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებს შორის, რაშიც უნდა ჩაერთოს მთავრობა, სასულიერო პირები, სპეციალისტები და ორგანიზაციები რათა აქტიურად გავრცელდეს ინფორმაცია 1937-38 წლებში მიმდინარე ე.წ. „სტალინური ტერორის“ შესახებ;

- საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასა და სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შორის უნდა შედგეს შეთანხმება იდენტიფიკაციის გარეშე დარჩენილი ნეშტების ერთობლივად დაკრძალვის თაობაზე, მოლაპარაკებებში აქტიურად უნდა ჩაერთოს სახელმწიფოც.

მუზეუმები

მუზეუმები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ტოტალიტარული წარსულის გააზრებისა და ახალი, ფაქტებზე დაფუძნებული ისტორიული ნარატივების შექმნის კუთხით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ამ მხრივ აქტიურად იმუშავეს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა, სადაც მრავლად ვხვდებით როგორც საბჭოთა, ასევე ნაცისტური ოკუპაციისა და ჰოლოკოსტის თემატიკაზე შექმნილს მუზეუმებს. საქართველომ, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, საბჭოთა კავშირისგან მემკვიდრეობით მიიღო უნიკალური მუზეუმი - სტალინის სახლ-მუზეუმი, რომელსაც შესაძლოა ცენტრალური როლი ეთამაშა საბჭოთა წარსულის გადააზრების საქმეში, თუმცა დღემდე, აღნიშნული სივრცე კვლავ რჩება ადგილად, სადაც ვიზიტორები

საქართველოს უახლესი წარსულის შესახებ სტალინისტურ ნარატივს ეცნობიან. მუზეუმში ჩატარებული არაერთი ეთნოგრაფიული კვლევა[38] ცხადყოფს, რომ მუზეუმში ნაკლები ყურადღება ეთმობა მასობრივ ტერორს, რომელიც სწორედ სტალინის მეთაურობით მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირში და წახალისებულია სტალინის კულტი. მუზეუმში შეხვდებით სტალინის „პატრიოტულ“ ლექსებს, პორტრეტებს და გიდებისგან მოისმენთ ისტორიებს იმის შესახებ, რომ სტალინმა „არაფერი იცოდა მასობრივი დახვრეტების შესახებ“[39] და რომ მას ძალიან უყვარდა საქართველო. სტალინის ფიგურის მსგავსად წარმოჩენა კვლავ ახალისებს სტალინისტურ განწყობებს საზოგადოებაში და ახდენს სტალინური ტერორის დროს რეპრესირებულთა საკითხის უგულებელყოფას.

ვარდების რევოლუციის და განსაკუთრებით - 2008 წლის ომის შემდეგ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებას ჰქონდა ერთგვარი მცდელობა, რომ მუზეუმის რეკონსტრუქცია მოეხდინა, თუმცა აღნიშნული მცდელობები კვლავ მიმართული იყო არა პირდაპირ საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლთა ხსოვნის უკვდავყოფისა და საბჭოური რეჟიმის ბოროტების გააზრებისკენ, არამედ იმისკენ, რომ რუსეთის მიერ საქართველოს თანამედროვე ოკუპაცია დაკავშირებულიყო საბჭოთა ოკუპაციასთან „რუსული ოკუპაციის 200-წლიანი ოკუპაციის“ ნარატივის ფარგლებში. ამაზე მეტყველებს ის, რომ სწორედ ამ პერიოდში მუზეუმს დაემატა „რეპრესიების ოთახი“, რომელიც შენობის სარდაფშია მოთავსებული. საინტერესოა, რომ რეპრესიების ოთახში არა მარტო სტალინის მმართველობის დროს რესპრესირებულთა მემორიალია, არამედ გამოკრულია 2008 წლის აგვისტოს ომის სურათები და სიმბოლურადაა გაკეთებული კედელიც, რომელზეც იმ ადამიანების სახელები და გვარებია დატანილი, ვინც გორის რაიონიდან დაიღუპა ომში. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს ეროვნულ მუზეუმში საბჭოთა ოკუპაციის ამსახველ ექსპოზიციაზეც (ე.წ. საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი), რომელიც ჯერ კიდევ 2008 წლის ომამდე, 2006 წელს დაარსდა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და პარლამენტის წევრის, ნიკოლოზ რურუას ინიციატივით. მუზეუმში თავმოყრილია საბჭოთა რეპრესიების ამსახველი მნიშვნელოვანი დოკუმენტური და ფოტომასალა. ამავე მუზეუმში ექსკურსიისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტალინურ რეპრესიებს. 2008 წლის ომის შემდეგ კი მუზეუმის შესასვლელშივე გაჩნდა დიდი ეკრანი, სადაც გადის მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი, რომელშიც ასახულია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის კადრები, ვლადიმირ პუტინი, დიმიტრი მედვედევი და ომის შემდგომ სრულიად საქართველოს მასშტაბით შეკრული სამოქალაქო ჯაჭვი. ამ ვიდეოს ოკუპაციის მუზეუმში განთავსება იყო მესიჯი, რომ თანამედროვე რუსეთის პოლიტიკა საბჭოთა ოკუპაციის გაგრძელებაა.

---

[38] Bendsten Gotfredsen, Katrine. *Evasive Politics. Paradoxes of History, Nation and Everyday Communication in the Republic of Georgia*, University of Copenhagen, 2013; ქარცივაძე მეგი, *ქართული ნაციონალიზმი და სტალინი: პარადოქსული სიყვარული თუ კულტურული მეხსიერების ლოგიკა?*, გამოუქვეყნებელი ნაშრომი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, 2017.

[39] ქარცივაძე მეგი, *ქართული ნაციონალიზმი და სტალინი: პარადოქსული სიყვარული თუ კულტურული მეხსიერების ლოგიკა?*, გამოუქვეყნებელი ნაშრომი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, 2017.

ქვეყანაში იმგვარი მუზეუმების არსებობა, რომელიც ორიენტირებული იქნება საბჭოთა წარსულის საფუძვლიან კვლევაზე და მსხვერპლთა ხსოვნის უკვდავყოფაზე კვლავ გამოწვევად რჩება საქართველოსთვის. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, რომ ჩატარდეს გორში, სტალინის სახლ-მუზეუმის რეკონსტრუქცია და მთლიანად შეიცვალოს მისი კონცეფცია. სავარაუდოა, რომ აღნიშნულს გარკვეული სახის წინააღმდეგობა შეხვდება ადგილობრივი მოსახლეობისა და სტალინისტური ორგანიზაციებისგან, მაგრამ საჭიროა, რომ სახელმწიფომ დროულად დაიწყოს ამაზე მუშაობა. ადგილობრივებთან დიალოგი და დისკუსია კი ამ პროცესის განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმში მეტად ინტეგრირდეს კვლევითი კომპონენტი და მის სამომავლო განვითარებასა და გაფართოებაში აქტიურად ჩაერთონ ახალგაზრდა მკვლევარები. ამგვარი თანამშრომლობის კარგი მაგალითი იყო 2019 წელს IDFI-ს, საქართველოს შსს არქივისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ჩართულობის შედეგად ორგანიზაცია „გორგასლიანის“ სტენდის განთავსება.[40] სასურველია, რომ მეტად წახალისდეს ამგვარი თანამშრომლობა მუზეუმსა და სხვა კვლევით თუ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის.

დასკვნა

IDFI-მ მოცემულ ანგარიშში განიხილა დამოუკიდებელი საქართველოს მეხსიერების პოლიტიკა 1991 წლიდან დღემდე, ამ მხრივ არსებული მიღწევები და გამოწვევები სამი ძირითადი მიმართულებით - სამართლებრივი განზომილება, ინსტიტუტიცური განზომილება და მემორიალური განზომილება. წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში მეხსიერების პოლიტიკის კუთხით გამოწვევები არსებობს სამი მიმართულებით.

უპირველეს ყოვლისა, საქართველოს წინაშე არსებული ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ის, რომ „КГБ“-ის საარქივო დოკუმენტების 80% თბილისის ომის დროს განადგურდა, რაც ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის სრულფასოვან ლუსტრაციას ქვეყანაში. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ვარაუდებიც იმის თაობაზე, რომ აღნიშნული არქივების დიდი ნაწილი შესაძლოა რუსეთშიც ინახებოდეს. ეს კი განსაკუთრებული საფრთხის შემცველია რუსეთ-საქართველოს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობების პირობებში. ამგვარი დოკუმენტების რუსეთში არსებობის შემთხვევაში, ისინი შესაძლოა ეფექტური იარაღი აღმოჩნდნენ რუსეთის ხელისუფლების ხელში, რომელიც შეიძლება გამოყენებაც საქართველოს შიდა პოლიტიკურ პროცესებში ჩარევისთვის. ასევე, IDFI-ის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ „თავისუფლების ქარტიით“ გათვალისწინებული კომისიის საქმიანობა საკმაოდ ბუნდოვანია და კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მისი ეფექტურობა, ამიტომ საჭიროა კომისიის საქმიანობის გადახედვა. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ითვალისწინებს კომისიაში პარლამენტის წევრების

[40] http://www.idfi.ge/archive/?cat=read_topic&topic=140&lang=ka

მონაწილეობას, პრაქტიკა აჩვენებს, რომ პარლამენტარების ჩართულობის ხარისხი საკმაოდ დაბალია.

ამასთანავე, საქართველოში არსებობს გამოწვევები ტოტალიტარული იდეოლოგიების ხელახლა აღმოცენებისა და ტოტალიტარული სიმბოლიკის გავრცელების პრევენციის კუთხით. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, რომ შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც სუს-ში არსებულ „თავისუფლების ქარტიით“ გათვალისწინებულ კომისიას საშუალებას მისცემს, მყისიერად და უფრო ეფექტურად იმუშაოს საჯარო სივრცეში ტოტალიტარული სიმბოლიკის გამოვლენის, აღკვეთისა და პრევენციის მიმართულებით. ამასთანავე, აუცილებელია, რომ ჩატარდეს აქტიური საინფორმაციო კამპანიები და დისკუსიები, რის შედეგადაც კონსენსუსის საფუძველზე მოხდება ტოტალიტარული სიმბოლიკის აღება ან/და ჩანაცვლება.

განსაკუთრებულად საყურადღებოა საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნისა და რეაბილიტაციის კუთხით სახელმწიფოს გააქტიურება. IDFI საჭიროდ მიიჩნევს, რომ განახლდეს 2018 წლის 1 იანვრიდან შეწყვეტილი, რეპრესირებულ პირთა ან მათ მემკვიდრეთა უფლება ერთჯერადი ფინანსური დახმარების მიღების მიზნით, შესაბამისი განცხადებით მიმართონ სასამართლოს და გაიზარდოს დადგენილი ერთჯერადი დახმარების ოდენობა, რომელიც 2018 წლის 1 იანვრამდე, 1.000-დან 2.000 ლარამდე მერყეობდა. ასევე მნიშვნელოვანია, რეპრესირებულთათვის ყოველთვიური სუბსიდიის 7 ლარიდან 44 ლარამდე გაზრდა, რისთვისაც IDFI აგრძელებს აქტიურ ადვოკატირების კამპანიას. ამასთანავე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს რეპრესირებულ პირთა გათავისუფლება საყოფაცხოვრებო-კომუნალური გადასახადებისგან, მათ, ვინც არ ფლობს საცხოვრებელ ფართს, მიეცეთ ყოველთვიური დახმარება ქირის გადასახადის სრული ან ნაწილობრივი დაფარვის მიზნით, კანონით დადგენილი იყოს მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობის შეღავათი რეპრესირებული პირებისათვის და რეპრესირებულ პირთათვის გათვალისწინებული სოციალური დახმარებისა და საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობა ითვალისწინებდეს რეალურ საარსებო მინიმუმს.

რაც შეეხება ინსტიტუციურ განზომილებას, წარსულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ აქამდე საქართველოში შექმნილი კომისიები, რომლებიც მუშაობდნენ საბჭოთა რეპრესიების შესწავლაზე, უფრო მეტად ემსახურებოდნენ მათი თანამედროვე მოვლენების ისტორიული კონტექსტით ახსნას, ვიდრე წარსულის გადააზრებას, შეფასებას და ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლთა რეაბილიტაციას. ამიტომ, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ განაახლოს მუშაობა ამ კუთხით და წაახალისოს საბჭოთა წარსულის კვლევები, რაც აუცილებელია საბჭოთა ტერორის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად და მომავალში მსგავსი ტოტალიტარული რეჟიმების აღმოცენების პრევენციისთვის. მართალია, საქართველოში საბჭოთა წარსულისა და მასთან დაკავშირებულ კვლევებზე მომუშავე ორგანიზაციები არსებობს, თუმცა მათი რაოდენობა არც ისე დიდია. ხშირ შემთხვევაში, საკითხები, რომელსაც ეს ორგანიზაციები ადვოკატირებენ - არქივების ღიაობა, ეფექტური მეხსიერების პოლიტიკის შემუშავება და მსხვერპლთა რეაბილიტაცია, სახელმწიფოს ყურადღების მიღმა რჩება. ამიტომ, საჭიროა, რომ საბჭოთა წარსულის კვლევებზე მომუშავე ორგანიზაციებსა და სახელმწიფოს

შორის თანამშრომლობის ხარისხი გაიზარდოს, რათა ქვეყანაში ეფექტური მეხსიერების პოლიტიკის წარმართვა გახდეს შესაძლებელი.

მემორიალურ განზომილებასთან დაკავშირებით კი IDFI განსაკუთრებულ გამოწვევად მიიჩნევს აჭარაში აღმოჩენილი საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა სამარხების საკითხს, ვინაიდან მაშინ, როცა, ბევრ ქვეყანაში რეპრესირებულთა დახვრეტის და დამარხვის ადგილებზე მოწყობილია მემორიალური კომპლექსები, ხელისუფლების ხელშეწყობით, იმართება რეპრესირებულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და წახალისებულია ამ მიმართულებით კვლევები, ამგვარი რამ საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობს. მიუხედავად IDFI-ის არა ერთი მოწოდებისა, აღმოჩენიდან ერთი წლის შემდეგაც, სამარხები და ნეშტები კვლავ გამოუკვლეველია, არც აღნიშნული ადგილას მემორიალის მოსწყობად დაწყებულა სამზადისი და არც საგანმანათლებლო ან სხვა სახის ღონისძიებებს ჩაყრია საფუძველი. რაც მთავარია, დღემდე არ არის მიღებული გადაწყვეტილება საერთო სამარხის მოწყობის ან ნეშტების იდენტიფიცირების და მათი ოჯახებისთვის გადაცემის შესახებ. IDFI კვლავ აქტიურად განაგრძიბს მუშაობას ამ კუთხით და მოუწოდებს სახელმწიფოს, რომ დროულად გაითვალისწინოს ორგანიზაციის რეკომენდაციები და დაიწყოს მუშაობა ამ მიმართულებით.

ამასთანავე, გამოწვევად რჩება ქვეყანაში იმგვარი მუზეუმების არსებობა, რომელიც ორიენტირებული იქნება საბჭოთა წარსულის საფუძვლიან კვლევასა და მსხვერპლთა ხსოვნის უკვდავყოფაზე. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, რომ ჩატარდეს გორში, სტალინის სახლ-მუზეუმის რეკონსტრუქცია და მთლიანად შეიცვალოს მისი კონცეფცია, რაც აუცილებლად უნდა განხორციელდეს ადგილობრივ მოსახლეობასთან დიალოგის პარალელურად. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმში მეტად ინტეგრირდეს კვლევითი კომპონენტი და მის სამომავლო განვითარებასა და გაფართოებაში აქტიურად ჩაერთონ ახალგაზრდა მკვლევარები. IDFI გამოთქვამს მზაობას, რომ ამ კუთხით აქტიურად ითანამშრომლოს როგორც სახელმწიფოსთან, ასევე, კონკრეტული მუზეუმების წარმომადგენლებთან.